ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №326581

ნომერი: AR175001

თარიღი : 21.08.2012

გაცემის თარიღი : 27.08.2012

გაცნობის თარიღი : 11.09.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი კრწანისის II , N 15-17 და მიმდებარე ტერიტორია , (ნაკვეთი N11/65) ; ქალაქი თბილისი , შესახვევი კრწანისის II , N 15-17 და მიმდებარე ტერიტორია , (ნაკვეთი N11/42) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე კვირკველია პ/ნ 62001016420
- ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზ. 5ა ბინა 48

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 17ნოემბრის №კ-296 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 21 აგვისტოს №AR175001 განცხადებით მომართა შპს „ეუბე ჯორჯიას“-ს დირექტორმა ალექსანდრე კვირკველიამ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 17 ნოემბრის №კ-296 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანა საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2005 წლის 17 ნოემბერს დადგინდა №კ-296 ქალაქთმშენებლობითი პირობები ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კრწანისის II შესახვევში, №15-17 და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი: №1/18/6/11/33) საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა 3822 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით:№1/18/6/11/33. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია ორი ახალი საკადასტრო ერთეული საკადასტრო კოდით: №01.18.06.011.065 და №01.18.06.011.042, რომლებიც მიღებულია №01.18.06.011.033 საკადასტრო ერთეულის დაყოფით და მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მიერთებით. დამკვეთის განმარტებით ახალი საკადასტრო ერთეული, რომლის დამატებაც ხდება ქალაქთმშენებლობით პირობებში (საკადასტრო კოდი: №01.18.06.011.065), ადრე შედიოდა №01.18.06.011.033 საკადასტრო ერთეულში. გარდა ამისა, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია საპროექტო ობიექტის ფუნქციას დაემატოს „სერვის ცენტრი“.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად, იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, ვრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. იმ დროისათვის მოქმედი “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” 2005 წლის 11 აგვისტოს №140 საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად ქალაქთმშენებლობით პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები, მაგრამ ობიექტი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქთმშენებლობით პირობებში შეიტანოს ცვლილება მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით და დაემატოს ობიექტის ფუნქციას „სერვის ცენტრი“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” 2005 წლის 11 აგვისტოს №140 საქართველოს მთავრობის დადგენილების და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე” ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 17 ნოემბრის №კ-296 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ:
ა) მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდად №1/18/6/11/33 ნაცვლად დაფიქსირდეს ორი საკადასტრო ერთეული - №01.18.06.011.065 და №01.18.06.011.042;
ბ) მიწის ნაკვეთის ფართად 3822 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 220 კვ.მ. და 3593 კვ.მ;
გ) მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია დაფიქსირდეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საკადასტრო გეგმების შესაბამისად;
დ) ქალაქთმშენებლობით პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი 2 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (სარეგისტრაციო №882012207318, მომზადების თარიღი 12/06/2012 წ. და 882008278588, მომზადების თარიღი 22/09/2008 წ.) და საკადასტრო გეგმები (სარეგისტრაციო №882010546630, მომზადების თარიღი 01.04.10 წ; სარეგისტრაციო №882010609512, მომზადების თარიღი 27.05.10 წ.);
ე) საპროექტო ობიექტის ფუნქციას დაემატოს „სერვის ცენტრი“;

2. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 17 ნოემბრის №კ-296 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.